№ 181 2 ენკენისთვე, კვირა 1866—1879 2 ენკენისთვე, კვირა № 181

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** დიდ ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივს ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**ფასი** ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**ხუთი** მანეთი.

---

თფილისის ქალაქის უპრავა სთხოვს ყველას, ვისაც ტრაქტირები და საზოგადოთ სასმელების დუქნები და დასადგომი სახლები აქვსთ ქ. თფილისში, რათა 5 და 6 ენკენისთვეს, დილის 10 საათზედ მივიდნენ ქალაქის საბჭოს ზალაში დეპუტატების ამოსარჩევლად თანხმად 22 და შენიშვნის 59 სტ. პოლოჟ. ტრაქტ. და დუქნების, ტრაქტირებისა და საზოგადოთ დასადგომი ადგილების მქონე პირთაგან შემდეგი ოთხი წლისთვის აქციზის რასკლადკისთვის.

(3—2)

---

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ვენა,** 28 აგვისტოს. ორ ნაწილად გაყოფილი ავსტრიის ჯარი შევიდა ნოვო-ბაზარის სანჯაყში. ერთი ნაწილი ხან-პოჩავამდინ მივიდა და იქ დაბანაკდა და მეორე კი ბანგვის მახლობლად.

**ლონდონი,** 30 აგვისტოს. ამბობენ, რომ ავღანის აჯანყებულებმა გზა შეჰკრესო ქაბულსა და ინგლისის ჯარებს შუა. აჯანყება თან-და-თან ძლიერდება. ინგლისის ჯარების სარდალს ღენერალ რობერტს იმდენი ძალა არა აქვს, რომ ეს აჯანყება დაამშვიდოს.

**პეტერბურღი,** 29 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია სმოლენსკის ღუბერნატორის ტელეგრამმა, რომ ქალაქს ვიაზმაში სატუსაღო ციხე და ორასი სახლი გად მწვარა. სმოლენსკიდამ ცეცხლის საქრობი მაშინები გაუგზავნიათ

ფინანსის მინისტრი ღენ. გრეიგი გუშინ-წინ როსტოვში (დონზე) მისულა და აქედამ ტაგანროგში უნდა წასულიყო.

**სტამბოლი,** 29 აგვისტოს. ამბობენ, რომ ახლანდელი სამინისტრო ოსმალეთისა (არიფ და საიჰეტ-ფაშებისა) ბაირამის დღესასწაულის შემდეგ გამოიცვლებაო.

**ვიაზმა,** 29 აგვისტო. ცეცხლის დროს დაიწვა სამი კაცი, ფოჩტის სტანცია, სამხედრო ლოშპიტალი და სატუსაღო ციხე; ტუსაღები სმოლენსკში გაგზავნეს.

**დარმშტატი,** 29 აგვისტოს. გერმანიის იმპერატრიცამ ინახულა რუსის იმპერატრიცა იუგენჰეიმში.

**ლონდონი,** 30 აგვისტოს. ღენ. მოსსეის ბრიგადა საჩქაროდ მიდის ღენ. რობერტსის ჯართან შესაერთებლად ქაბულში. ორი კვირის შემდეგ მთელი აქაური ჯარები ინგლისისა ერთიანად მიაწევენ ქაბულს.

**სტამბოლი,** 29 აგვისტოს. ახალი კამისსარი საიდ-ფაშა ალეპპოში მივიდა.

**ვიაზმა,** 29 აგვისტოს. ქარი ჩადგა. ცეცხლი გააქრეს. ცეცხლის გაჩენის ეჭვი არავიზედ არ არის.

**კელნი,** 28 აგვისტოს. „კელნის გაზეთში“ იწერებიან, რომ მივიდნენ თუ არა ინგლისის ელჩები ქაბულში, ავღანის უბრალო ხალხმა იმწამსვე მტერობა და უკმაყოფილება გამოუცხადა იმათ. სანამ ქვის სახლს ააშენებდნენ, ელჩები ხის შენობაში დადგნენ. როცა აჯანყებულები მიადგნენ ინგლისელებს, ამათ თოფი დაუშინეს და უკუაქციეს ისინი; მაგრამ შემდეგ კიდევ დაეცნენ ინგლისელებს, დაარბიეს იმათი არსენალი, საცა თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი ჰქონდათ შენახული და მთელი დღე სროლა არ გაწყნარებულა. ორივე მხრით დიდი ზარალია. საღამოს ავღანელებმა ინგლისის საელჩო სახლს ცეცხლი წაუკიდეს; იქ მყოფნი გამოცვივდნენ გარედ, ბევრი იბრძოლეს, მაგრამ ბოლოს ყველა დახოცეს, მხოლოდ ცხრა კაცი გადარჩა. ამ აჯანყებულებისაგან შევიწროებული ემირი ავღანისა იაკუბ-ხანი ინგლისელებს სთხოვს დახმარებას. ბადექა-ხანი ინგლისელებს დახმარებას ჰპირდება. ყოველის მხრით ჯარები იგზავნება ქაბულისაკენ.

**პეტერბურღის ბირჟა,** 29 აგვისტოს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 94—62 |
| მეორე — — — — | 93—50 |
| მესამესი — — — | 93—50 |
| მეოთხესი — — — | 93—75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—12 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92—— |
| აღმოსავლეთის, მესამე — | 92—13 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—89 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— — | 233—25 |
| მეორე სესხის — — | 232— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—94 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 126—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 264—25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 214—25 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

---

# საქართველო

## დღიური

*** იმ დღეს, რა დღესაც თფილისში იყო წვიმა და ნიაღვარი, საქართველოს სხვა ადგილებშიაც ყოფილა. სხვათა შორის გურიიდამ გვწერენ, რომ ისეთი საშინელი ნიაღვარი მოვარდნილა იქ, რომ ზოგიერთ დაბალ ადგილებზე მცხოვრებლებისათვის ვენახები და ყანები წაულეკავს, პირუტყვი დაუღრჩვია და ამნაირად ბევრი ზიანი მიუცია ხალხისათვის.

დედოფლის-წყაროდამაც გვატყობინებენ, რომ იქაურ პოლკისათვის შვიდი ცხენი წაურთმევია და დაუღრჩვია.

*** წყალ-დიდობას გარდა, ცეცხლმაც დიდი ზარალი მისცა ჩვენ ხალხს

ამ მოკლე ხანში. აჯამეთის ტყეში რომ ცეცხლი გაჩნდა და კარგა მანძილი ადგილი გადასწვა,—ეს იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული; ახლა იწერებიან, რომ მტკვრის ნაპირებზე, საციციანო და სამერიჯიბო ტყეებშიაც ცეცხლი ყოფილა და ბევრი ზარალი მიუცია პატრონებისათვის.

** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ და ვბეჭდავთ იმ იმედით, რომ ვისიც რიგია, ყურადღებას მიაქცევს:

„ქუთაისის სატუსაღო ციხეში იმყოფებოდა ერთი ჩემი ნათესავი კაცი, ნ. ლეჟავა. ამ კაცისათვის თფილისის გუბერნიის სატუსაღოს ზედამხედველს რკინის ბორკილები შეეყარა ფეხებში და 26 წარსულს აპრილს ქუთაისის ნაობახში ეტაპით გამოეგზავნა. ნ. ლეჟავას აბრალებენ ეკკლესიის დაწვას, რომლის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამ თვის 19-ს გაარჩია და კიდეც გაამართლა.

თუ უ. თფილისის გუბერნიის სატუსაღოს ზედამხედველს არ უხელმძღვანელებია იმისთანა კანონით (ან სადაური კანონი იქნებოდა?), რომ ყოველი დამნაშავე პირი, რომელსაც კი ეკკლესიის დაწვა დაბრალდება, საქმის გარჩევამდის რკინის ბორკილებითაც უნდა იტანჯებოდეს ნაობახში და არა მარტო ტყვეობით, მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ზედამხედველის ამისთანა ახირებული განკარგულება იყო მეტის-მეტი ულმერთობა!

„საჭიროა ამ ულმერთო განკარგულებაზე უ. თფილისის სატუსაღოს ზედამხედველმა ბეჭდვით აგოს პასუხი რომელსამე თფილისის გაზეთში.

„ამ ახირებულმა განკარგულებამ მეორე ახირებულს განკარგულებას წამოჯახა, რომელსაც უ. ქუთაისის პოლიციმეისტერი, რამდენიმე თვეა პრაქტიკაში ხმარობს, არ ვიცი რა მიზნის მისაღწევნელად: ვსთქვათ, მომრიგებელმა მოსამართლემ, ან ოლქის სასამართლომ, ან სამსაჯულო პალატამ, ან სენატმა რომელიმე ქუთაისის ციხეში მყოფი ტუსაღი გაამართლა. სატუსაღოს ზედამხედველს უფლება არა აქვს, რომ უ. პოლიციმეისტრის უდასტუროთ გამართლებული ტყვე გაუშვას. უნდა რაპორტით მოახსენოს უ. პოლიციმეისტერს, ისე არ შეიძლება. ამ მიწერ-მოწერაში და ჩინეთურ ცერემონიაში საწყალი ტყვე თითო დღე რჩება ტყულა-უბრალოთ. ტყულა-უბრალოთ მეთქი, თორემ პოლიციმეისტერს, ხომ უფლება არა აქვს გამართლებული ტყვე მეორე დღემდის გააჩეროს და ხაზინას მუქთად ორ-ორი შაურის პური ახარჯვინოს. ასე მოხდა ნ. ლეჟავას გაშვებაზე. ოლქის სასამართლო სწერს სატუსაღო ზედამხედველს, რომ თუ ნ. ლეჟავას სხვა საქმე არა აქვს, გაუშვით დაუყოვნებლივ. 19-ს ივლისს, ნაშუადღევის ოთხს საათზე, ციხის ზედამხედველმა რაპორტი გაუგზავნა უ. პოლიციმეისტერს ნ. ლეჟავას განთავისუფლებაზე. მეორე დღემდის დღის 11-ს საათზე დასტური მოვიდა გაუშვითო“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**საჩხერე, 26 აგვისტოს.** ახალი ამბავი აღარ არის ზოგიერთი სოფლის მღვდლების ურიგო მოქმედება თავის მრევლში.

ამისთანა მოქმედებას მღვდლებისას მიაწერდნენ მათ გაუნათლებლობას და კიდევაც უნდა მივაწეროთ: მაგრამ, საუბედუროდ, ცოტათ თუ ბევრათ განათლებული მღვდლებიც, როდესაც გამოდიან ხალხში, ნაცვლად სამაგალითო მოქმედებისა: ღარიბი ხალხის სიბრალულისა, დარიგებისა, მათი შეწევნისა, სწორ გზაზე დაყენებისა და თავის წმინდა თანამდებობის აღსრულებისა, ისეთ ხასიათებს იჭერენ, რომლითაც ძალა-უნებურათ მოგვანატრებენ ხოლმე გაუნათლებელ მღვდლებს.

დასამტკიცებლად ამისა გაგაცნობ მკითხველებს ერთ ახალგაზდა მღვდელს, რომელიც მსახურებს სოფ. სარ. და რომელსაც ამ ორი თუ სამი წლის წინეთ გაუთავებია თფ. სასულიერო სემინარია და ეძახიან განათლებულ მღვდელს.

შესვლისათანავე თავის მრევლში ამ ახალგაზდა მღვდელს ხალხი აღტაცებით შესჩერებოდა და ამაყათ იქადდა სხვა მრევლის ხალხთან, რომ უფრო ბედნიერნი შეიქმნენ სხვებზე, რადგანაც მათი სწავლული მღვდელი უსწავლელზე უფრო შეეწევა მათ და ცხოვრებას რაიმე მხრით გაუუმჯობესებს.

მაგრამ დახედეთ, რომ მათი ოცნება ბედნიერებისა უბედურებათ გარდაექცათ! სწავლულმა მღვდელმა მოსვლისათანავე ჩაღუნა თავი და ღირსიც არავინ გახადა

# ფელეტონი

## ბეჭედი

(ნათარგმნი მოთხრობა)

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემს თავმოყვარეობას ყმაწვილობაში სამზღვარი არა ჰქონდა. სახლში ყოველთვის დარიგებას მაძლევდნენ, რომ გადამეგდო ეს წრეს გარეთი თავმოყვარეობა და ძალიან ხშირად ამის გამო საყვედურები მესმოდა ხოლმე. მაგრამ ჩემზედ სრულიადარ მოქმედებდნენ არც დარიგება და არც საყვედური; ჭკუაში არ მომდიოდა დარიგება და საყვედურები. მე მხოლოდ იმას ვერწმუნებოდი და ისე ვიქცეოდი, რასაც ვხედავდი და რასაც ჩემი საკუთარი შთაბეჭდილება მეუბნებოდა.

და ცხოვრებამ მომცა გაკვეთილი.

ერთ მშვენიერ, ყინულიან დილას, ზამთარში, მამა ჩემმა, შესანიშნავმა ბეჭდების მკეთებელმა, მიმიხმო თავის ოთახში.

—აი, შვილო! მითხრა მამამ და ამოიღო კოლოფიდამ ძვირფასი და მშვენიერი ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი, რომელმანც თავისის სხივით თვალებში შემომბრჭყიალა:—აი შვილო, ბეჭედი, რომელიც სულ უკანასკნელი სამასი თუმანი ფული ღირს. ეს უნდა გაუგზავნო ჩემს ნაცნობს პარიჟში და შენთვის ჩემი შვილისთვის, ჩამიბარებია ამ მონდობილობის აღსრულება. მაგრამ, იცი, ისე გაუფრთხილდი, როგორც ორთავ თვალის სინათლეს!

პასუხის მაგიერ მე კმაყოფილებით გავიღიმე, როგორც კაცი მტკიცედ დარწმუნებული თავის-თავზედ.

—დარიგება რაღა საჭირო იყო?! ვამბობდი გულში. განა შესაძლებელია, რომ მე მომპარონ, ან დავკარგო ეს ბეჭედი?!

საჩქაროდ მოვემზადე. ბეჭედი ფრთხილად ჩავიდე ჯიბეში, მაგრათ შევიკარ ყველა ღილები, გარედამ კიდე გავშინჯე, მაქვს, თუ არა ბეჭედი მეთქი და გაუდექ გზას! ბე ვიჯექი და შევსცქეროდი ჩემი პაპიროზის ბოლს.

—წელან ხომ მარტო თვალი გადავავლე ამ ბეჭედს! მოდი კარგათ გავშინჯო! ვიფიქრე მე; ამოვიღე ბეჭედი და დავუწყე სიამოვნებით ცქერა. მშვენიერება რამ იყო ისა! კაცს თვალს მოსჭრიდა ელვარე თვლები! მომანდა მეტის-მეტად დამენახა, თუ როგორი გამოჩნდება და როგორ მოუხდებოდა ჩემს თითს! თითქო განგებ ჩემთვის გაკეთებულიაო, ისე მშვენიერად მოვიდა ჩემს თითზედ!

—რაღა კოლოფში ჩავდო, ხელზედ უფრო კარგათ არ შემენახება! ვიფიქრე მე: თითს თუ მომჭრიან, თორე ისე შეუძლებელი იქნება დაკარგვა. და რომ უფრო ფრთხილად ვიყვე, ფერჩატკებსაც ჩავიცვამ, და იყვეს შიგ დამალული! მაგრამ ჯერ რა საჭიროა პერჩატკი, ვაგონში ხომ არავინ არ არის ჩემს მეტი!.. ნეტავი ვის ხელს დაამშვენებს ეს ძვირფასი ბეჭედი? უთუოდ, ერთ ვისმე მშვენიერ ქალის ფუნჩულა თითებს! ვფიქრობდი ჩემთვის. ის კი დამავიწყდა, რომ ამ მშვენიერი ქალის ფუნჩულა ხელები ხომ ჩემს ხელებზედ პატარები იქნება და თითებიც—წვრილები!

ფიქრებიდამ გამომიყვანა კონდუქტორმა, რომელი შემოვიდა ვაგონში და გაიარ-გამოიარა. მე ჩავიცვი პერჩატკები და დავმალე ბეჭედი, თუმცა კი აბა ვისი შემეშინდებოდა! ვიჯექ თავისუფლად, კმაყოფილი... ამ დროს ჩემს შორიახლოს ჩაიარა ერთმა შავათ ჩაცმულმა ახალგაზდა ქალმა. ის მეტად მშვენიერი რამ იყო. იმისმა მშვენიერებამ ისე მიმიზიდა, რომ თვალი ველარ მოვაშორე. ყოველივე ჩემი გრძნობანი, ჩემი

თვისის ძვირფასის სიტყვისა, რადგანაც დაბალ ხალხში ცხოვრება და მუსაიფი, როგორც ეტყობა, ძალიან ეუკადრისება.

მოაწია დღესასწაულმა აღდგომამ—გლეხების გამამხიარულებელმა და მღვდლების დამასულიერებელმა. ჩვენი სწავლული მღვდელიც, როგორც სხვები ჩვეულებისამებრ, მიადგა თვითეულად თავის სამრევლოს კარზე; თუმცა „ქრისტე აღდგას“ თქმა გალობით ძალიან ეთაკილებოდა, მაგრამ მას დიაკვნები იხსნიდნენ ამ გასაჭირიდგან. ჩვეულებისამებრ, თითეული კომლი მიართმევს მღვდელს ამ დღესასწაულზე, გარდა წლიურის გარდასახადისა, ნაწილს თვისის სადღესასწაულო საკლავისას, მასთან პურს, კვერცხს და სხვ., და ამასაც, რასაკვირველია, მიართვეს; მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როდესაც ნაცვლად მთელის ბეჭისა, როგორც თითვონ ელოდა, ზოგმა ნახევარი მიართვა თვისის ზედნადებით; ამაზედ ახტა-დახტა ჩვენი განათლებული მღვდელი: როგორ თუ ნახევარი ბეჭის მორთმევა გაბედეთ, მე ვინ გგონივართ! მე რომ თქვენთან შამოსვლას ვკადრულობ, რატომ ღმერთს თაყვანს არა სცემთო! აბა აწი მიყურეთ, რა უბედურება დაგაყენოთ და ყოველისფერი ერთი-ორათ არ დავიჯინოთ, თქვენ პირუტყვებო, თქვენ დათვებოო და სხვ.

მოსდგა ჩვენი გულმოსული მღვდელი, შეისწავლა ინსტრუქციები და სხვა-და-სხვა დადგინებანი სასულიერო მთავრობისა შესახებ მღვდლების დაჯილდოებისა გლეხებიდგან.

ნახევარი ბეჭის მეტი თითეულ კომლიდგან სააღდგომოთ არსად არ ამოუვიდა; მაგრამ ნაცვლად ამისა ნახა: ტაბლობაზე რომ საკურთხი მოაქვსთ გლეხებს ეკკლესიაზე, იქიდგან მღვდელს თურმე მესამედი ერგება და ის კი, როგორც სხვანი, გლეხების სინდისისამებრ ილებდა.

მოატანა ტაბლობამაც. შედგა ჩვენი განათლებული მღვდელი კათედრაზე და უქადაგა ხალხს, რომ თანახმად კანონისა ეკკლესიაზე მოტანილი საკურთხი სამ წილათ უნდა გაიყოსო და არჩევანიც ერთის წილისა იმას (მღვდელს) უნდა ჰქონდეს და ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, ის მოკლებული იქმნება ყოველს მღვდელ-მოქმედებას და არც მარტო ამას დააჯერებს ის. ამაზე შესტლინკა ხალხმა,—გაცხარდა მღვდელსა და პრიხოდს შუა საშინელი ბაასი. მღვდელი უთითებდა ხელს კამიტეტის გარდაწყვეტილებას, ხალხი იბეჯითებდა თავის ჩვეულებას და ბოლოს ზოგმა ძალა-უნებურათ აკურთხებინა ტაბლები და მისცა მესამედის არჩევანი და ზოგმა უკანვე წაიღო უკურთხი.

იმ დღიდგან ჩვენი გულ-მოსული მღვდელი, შებრალებისა და შეწევნის ნაცვლად, იმას ფიქრობდა რათი შეევიწროებინა ხალხი და კიდევაც საქმე იქნობამდე მიიყვანა, რომ მოთმინებიდგან გამოსული გლეხები მიიქცნენ ყოვლად-სამღვდელოსთან და შესჩივლეს: ჩვენი სწავლული მღვდელი დაჭირების დროს არაფერ მღვდელ-მოქმედებას არ გვისრულებსო,—არ გვკადრულობსო და რაც რამე გაგვაჩნია, კი სულ უნდა, რომ შეგვიჭამოსო. დაგვიხსენით, არ გვინდა ამისთანა სწავლული მღვდელი, იმას ტაბლების ჭამა [illegible] მღვდლობაზედაო.

დაინიშნა გამოძიება. გამომძიებლათ მოვიდა დეკანოზი Ი. Აპ., რომელმაც განიხილა საქმე და რომელსაც ხალხმა გარდა სხვა საჩივრებისა მოახსენა, რომ მღვდელი მათ ლანძღავს ყოველ შემთხვევაში უშვერის სიტყვით, რომელიც მღვდელს არ შეფერისო. მღვდელმა თვისის მხრით პასუხათ მოახსენა დეკანოზს: ეგ შერცხვენილები, პირუტყვები, დათვები არიან და არაფერი არ გაეგებათ, მე არ მემონავეებიან და გთხოვთ დამიმორჩილოთ, რომ ნება არ ექმნესთ ჩემ წინაამდეგ სიტყვის ამოღებისა. მ. დეკანოზი ბევრს ეცადა, შეერიგებინა მღვდელი და მისი მრევლი და მასთან მღვდელსაც სთხოვა ტაბლების გაყოფაზე არჩევანი მაინც დაეთმო გლეხებისათვის, მ გრამ მღვდელი მტკიცეთ, შეურყევლათ დადგა თავის სიტყვებზე და გლეხებიც თავისაზე. ამისათვის არაფერი შერიგება არ მოხდა მათ შორის და საჩივარი ისევ გაგრძელდა.

საჩხერელი.

---

# ნარევი

შემდეგ საზიზღარ ამბავს ვკითხულობთ ერთ რუსულ გაზეთში, რომელსაც ერთ იტალიანურ გაზეთიდამ ამოუღია:

„ამ რამდენიმე წლის წინად ორი ძმა, სახელად Ტომას და სებასტიანი

---

ფიქრები იმისკენ ილტოდნენ! Ის მომიახლოვდა და თავისის ნაზის ხმით მთხოვა მეშოვნა წყალი. მე მივართვი წყალი და მოვაბი თავი მასთან ლაპარაკს.

Ის იყო ფრანცუზის ქალი და ინგლისურად კარგათ ვერ ლაპარაკობდა. Ისეთი მშვენიერი და ახალგაზდა იყო, რომ მე მეგონა გასათხოვარი ქალი იყო.

— Თქვენ სცდებით! მითხრა მე იმან. მე ქვრივი ვარ.. Ეს სიტყვები ისეთის დალონებულის ხმით მითხრა, რომ იმწამსვე მივხვდი, თუ რა დიდი ცეცხლი უნდა სწვავდეს იმის გულს და როგორ უნდა იტანჯებოდეს.

Იმან მითხრა, რომ Ლონდონიდამ მოდის, სადაც ვილაც Փიტც-Ჟვატთან ყოფილა, რომელსაც იმის მიცვალებული ქმრის საქმეები ჰქონია მინდობილი; ახლა ის ბრუნდებოდა პარიჟის მახლობლად თავის მამულში. Კალეს პალეში ერთი დღე უნდა დარჩენილიყო თავის საკუთარ საქმეების გამო.

რასაკვირველია, მეც ვიფიქრე იმწამსვე, რომ მაინცა-და-მაინც არც მე მეჩქარება და ამის გამო გადავწყვიტე, რომ იმ დღეს მეც მომეცადა პალეში. Ეს ჩემი გარდაწყვეტილება გამოუცხადე ჩემ თანამოგზაურ ქალს და იმან მითხრა, რომ ძალიან სასიამოვნო იქნება იმისათვის; თუ თქვენც დარჩებითო და ერთად მოგვიხდება წასვლაო. მაგრამ რო იცოდეთ, რა ტკბილად და რა ლმობიერის ღიმილით მითხრა იმან ეს სიტყვები და როგორის თვალებით შემომხედა მაშინ! Ოხ ეს თვალები! Ეს თვალები! Თავბრუ დამესხა იმის შეხედვისაგან..

Გამოველით თუ არა ზღვის ნაპირზე, ჩემ მშვენიერმა თანამოგზაურმა მითხრა, რომ იმას ძალიან შიან, და ამიტომ თავის საქმეებს გაარიგებს თუ არა პალეში, იმწამსვე მოვა იმ სასტუმროში, სადაც მე ჩამოვხტები. მე დავიქირავე კარეტა, პირ-და-პირ წაველი სასტუმროში და მოვამზადებინე იქ საუზმე.

Გზაზე ჩემი ბეჭედი მომაგონდა. Ფერჩატკებით ხომ ვერ ვსჭამდი საუზმეს! მაშ რა უნდა მექმნა? Ფერჩატკები უნდა გამეხადა,—ეს უეჭველია; მაგრამ ბეჭედი წავიძრო თითიდამ, თუ არა? Ეს მაწუხებდა. Წარმოიდგინოს მკითხველმა ოცი წლის თავმომწონე ყმაწვილი კაცი, რომელიც ლამაზ ქალთან აპირებს საუზმის ჭამას,—წარმოიდგინოს ჩემი ამგვარი მდგომარეობა და მაშინ მიხვდება—თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავ.

Ნახევარი საათის შემდეგ ქალი მოვიდა. Საუზმეც მოგვართვეს. Მე ვტკბებოდი იმის ტკბილის საუბრით; საჭმლისათვის თითქმის ხელიც არ მიხლია ისეთს აღელვებულს მდგომარეობაში და ნეტარებაში ვიყავი. Პაპიროსის მოწევაც კი დამავიწყდა. Თვითონ ამ ქალმა მომაგონა:

— Თქვენ არა სწევთ? მკითხა იმან.

— Დიახ, პაპიროზს ვეწყობი და თუ ნებას მომცემთ, პალტოს ჯიბეში მაქვს პაპიროზები, წავალ და მოვიტან.

Მაგრამ ამ დროს იმან ნაზათ გადმომხედა, ხელი ხელზე დამადო და მითხრა:

— Ნუ მიდიხართ, მე თვითონ ვსწევ პაპიროზს, ჩემსას მოგცემთ; მართალია, ქალს პაპიროზის წევა არ შეშვენის, მაგრამ დიდხანს ვიყავი Ესპანიაში და იქ მივეჩვიე. Ხომ არ შეგეზიზღებით, პაპიროზით ხელში რომ დამინახოთ?

— Მე თქვენ უნდა შევიზიზღოთ? Განა ეს შესაძლებელია?!

— Მაშ კარგი, სთქვა იმან ღიმილით და მომაწოდინა წვრილი ქალის პაპიროზი. Უეჭველია, თქვენ ამისთანა სუსტ ლოვან თამბაქოს არა ხართ მიჩვეული. Მაგრამ თუ მიეჩვევით, ძალიან სასიამოვნო გემო და სუნი აქვს.

(Დასასრული შემდეგ №-ში)

მტრულად უცქეროდნენ ერთმანერთს. წარსული წელს ვნების კვირიაკეში ტომასი მოვიდა შინ და ჰკითხა თავის ცოლს, ჩემი ძმა არ გინახავსო? როცა ცოლმა მიუგო, რომ საყდარში იყოვო, ტომასმა წაიღო ცული და დანა და გაექანა სიტყვებით: „დროა იმას ბოლო მოუღოვო“. ის დაიმალა ერთ ალაგას და როცა ამის ძმამ სებასტიანმა გამოიარა იმის შორი-ახლოს, სთხლიშა თავში ცული და გააგორა თავ-გატეხილი დედამიწაზედ. სებასტიანი ჯერ კიდე ცოცხალი იყო, რომ ძმამ მეორეთ შემოჰკრა ცული და თავი გააგდებინა; შემდეგ მივარდა დანით, გაუჭრა მუცელი, ამოუღო გული, ღვიძლი და მთელი შიგნეულება და დააწყო გვერდით. დანარჩენი აკუწა წვრილ-წვრილად და ჩაყარა ორმოში. თავი და ნაწლევები თან წაიღო, ამოთხარა თვალები, დაჭრა ცხვირი და ყურები და გაზით თითო-თითოთ ამოგლიჯა ყველა კბილები. ნაწლევები შესწვა, თითონაც სჭამა და აჭამა თავის ცოლ-შვილებსაც, რომელთაც არ იცოდნენ, თუ რაშია საქმე. რამოდენიმე დღის შემდეგ ერთმა კაცმა ნახა ორმოში ფეხი სებასტიანისა და წარადგინა სამსჯავროში, რომელმანც მოახდინა გამოძიება; მოძებნეს და ნახეს სხვა-და-სხვა ნაწილი კაცის სხეულისა, აკუწული ტომასისგან. ტომასი ამ დროს იმათთან იყო და იცინოდა; მაგრამ საზოგადოებამ შესწამა იმას ეს საზიზღარი მოქმედება; გაუჩხრიკეს სახლი და უნახეს ცული, დანა და თავი, რომელნიც ტომასის ცოლ-შვილებმა უჩვენეს იმათ. საქმის გარჩევის დროს დამნაშავემ სრულიად უარ ჰყო თავისი მოქმედება. დამცველი დამნაშავისა სიგიჟეს აწერდა ამ მოქმედებას, მაგრამ სამართალმა არ მიიღო ესა და გადაუწყვიტა ტომასს სიკვდილით დასჯა.

მკვლელი ორმოცდა-ოთხი წლის კაცია, ტანათ დაბალი და საზარელი შეხედულობისა“.

* * *

ერთს მოსწავლე ქალს ჰკითხეს: „მამაო ჩვენო“ იციო?—ვიციო! მიუგო ქალმა.—აბა სთქვიო! ქალი ჰკითხულობს: „მამაო ჩვენო ... ცათა შინა“... „რომელი ხარ“ კი დაავიწყდა და გაუსწორეს: „რომელი ხარ“. ქალს ეს გასწორება კითხვა ეგონა და მიუგო: „მე, ბატონო, ბარბალე გახლავარო!“

# განცხადებანი

## საყმაწვილო ბაღი
## და
## ელემენტარული შკოლა.

სოლოლაკზედ, ველიამინოვის ქუჩაზედ, თ. ამატუნის სახლებში

მიღება და ეკზამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიწყება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვები ორივე სქესისა, რომელნიც წლოვანებით 4-დამ 7 წლისანი იქნებიან, შკოლაში კი—7 წლიდამ 14 წლამდი.

ამ შკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიათ შევიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში!

(6—5)

## ქართული წერის სასწავლი
# დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, მ[illegible]ანოვის და ბრიქულოვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქეკელიასთან შკოლაში,

ო ზ უ რ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,

გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. ქ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

(5—3)

გამოვიდა და ისყიდება „კავკასიის წიგნის ვაჭრობაში“, უ. ბრიქულოვის წიგნის მაღაზიაში პირველ დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის,

შედგენილი

გ. ქალანდარიშვილის მიერ.

მეექვსე გამოცემა, გადასწორებული და დამატებული,

იაკობ გოგებაშვილისაგან.

ფასი ათი შაური

ვინც ერთად იყიდის არა ნაკლებ ოცი ეკზემპლიარისა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვინც ორმოც-დაათზე მეტს იყიდის—ეკზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(6—4)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ. კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

## ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 9 აგვისტ. | — | — |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 40 |
| ფქვ. წითელი | 1 | 70 |
| ქერი ფუთი | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 40 |
| —ამერიკისა, ფუთს | 9 | 30 |
| გაწმენდილი ბამბა ფუთი. | 10 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 50 |
| —თ რაქამისა ფუთი | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 80 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | — |
| სპირტი ვედრო | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 15 | 80 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 80 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მ. იდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარ...ლევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოევი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ., ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ყურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Августъ 1879 г. Типографія Меликова.* გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.